Solidarity Fund PL

FSM-2025-06-02

კონკურსი მომსახურების შესყიდვაზე:
შეხვედრების სივრცით მომსახურება

FSM-2025-06-02

** ინიციატივას აფინანსებს ევროკავშირი.*

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს დამკვეთს საკონფერენციო (შეხვედრების) სივრცითა და თანმდევი მომსახურებით თბილისსა და რეგიონებში, პროექტ REDI-ის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისათვის. ორგანიზაციის მიზანია, ითანამშრომლოს სანდო, პროფესიონალ და ხარისხზე ორიენტირებულ მიმწოდებელთან, რომელიც უზრუნველყოფს კარგად აღჭურვილ, კომფორტულ და ფუნქციონალურ შეხვედრების სივრცეებს პროექტთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და აქტივობების ეფექტურად ორგანიზებისათვის.

სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის გზით (REDI) არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელსაც ,,სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში" (SFPL in GEO) 2023 წლის 1-ლი დეკემბრიდან ახორციელებს ესტონელ პარტნიორთან - ,,e-Governance Academy"-თან " (eGA) ერთად. REDI მიზნად ისახავს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის ციფრული უთანასწორობის შემცირებას კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ციფრული წიგნიერების განვითარების გზით. პროექტის ფარგლებში, საქართველოს 200-მდე სოფელში საჯარო სივრცეებში განთავსდება ინტერნეტთან წვდომის წერტილები და შეიქმნება ციფრული სასოფლო ჰაბები

მოთხოვნილი მომსახურება - შეხვედრებისა თუ სხვა ტიპის კონფერენციებისთვის, სივრცის უზრუნველყოფა თბილისში, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში - რეგიონებშიც.

1. **ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**

2025 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში, არაუგვიანეს 2027 წლის 30 ნოემბრისა.

2. **დავალების შესრულების ლოკაციები.**

თბილისი, საქართველო, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში - საქართველოს რეგიონები.

3. **მინიმალური მოთხოვნები:**

3.1 ობიექტი უნდა მდებარეობდეს თბილისში, (საქართველოს სხვა რეგიონებში მომსახურების გაწევის შესაძლებლობა ჩაითვლება უპირატესობად.)

3.2 ობიექტმა უნდა უზრუნველყოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, სულ ცოტა, რომელიმე ტიპის, სპეციალურად გამოყოფილი და სათანადოდ აღჭურვილი შეხვედრების/ღონისძიებების სივრცე, სხვადასხვა სახის შეხვედრების ჩასატარებლად, მათ შორის: მცირე სამუშაო შეხვედრების, საშუალო ზომის ტრენინგების და/ან უფრო დიდი კონფერენციებისთვის.

3.3 სივრცეს უნდა გააჩნდეს მოქნილი განლაგება (მაგ., თეატრი, საკლასო ოთახი, U-ფორმა) და შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა:

- პროექტორი და ეკრანი ან LED დისპლეი
- ფლიპჩარტები და/ან თეთრი დაფები
- აუდიო სისტემა (დინამიკები + მიკროფონები)
- კვების წყარო როზეტები, დამაგრძელებელი კაბელები)

3.4 მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს კვების მომსახურება, რაც მოიცავს ჩამოთვლითაგან მინიმუმ ერთი ტიპის კვებას მაინც: ყავის შესვენება (ხემსი, სასმელი და ხილი), სადილი ან ვახშამი.

3.5 წინასწარი მოთხოვნის შემთხვევაში, ობიექტმა უნდა უზრუნველყოს ღონისძიების განმავლობაში ადგილზე ტექნიკური სპეციალისტის მომსახურება. სევე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგი ტექნიკური მომსახურებები:

- სპიკერები;
- მიკროფონები;
- ყურსასმენები;
- სხვა პრეზენტაციასთან დაკავშირებული აღჭურვილობა.

3.6 ობიექტმა მოთხოვნის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს თარგმანისთვის საჭირო აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა. რაც მოიცავს:

- სინქრონული თარგმანის ჯიხურ(ებ)ი;
- მიმღებები და ყურსასმენები;
- ნებისმიერი სხვა აღჭურვილობა, რომელიც საჭიროა სინქრონული ან თანმიმდევრული თარგმანისათვის.

3.7 ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინგლისურად მოსაუბრე პერსონალი.

3.8 ყველა სივრცეში, მათ შორის შეხვედრების ოთახებში, საპირფარეშოებსა და საერთო სივრცეებში დაცული უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები. ყველა სივრცის გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი დანიშნულებით.

** შეთავაზებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მინიმალურ მოთხოვნებს, პროცესიდან გამოირიცხებიან ფორმალური პირობების დაუკმაყოფილებლობისათვის.*

4. **განმცხადებლის შერჩევის დამატებითი კრიტერიუმები (მაქს. 110 ქულა).**

კრიტერიუმები გამოყენებული იქნება განმცხადებლებისათვის დამატებითი ქულების მისანიჭებლად.

4.1. შეხვედრების სივრცის ზომა (15 ქულა)

4.1.ა – მომწოდებელს შეუძლია უზრუნველყოს სამი, ან მეტ სხვადასხვა ზომის სივრცე შეხვედრებისათვის. (მაგალითად: მცირე, საშუალო და დიდი ოთახები), რომლებიც იტევენ 15-დან 50+ მონაწილეს → 15 ქულა.

4.1.ბ – მომწოდებელს შეუძლია უზრუნველყოს ორი სხვადასხვა ზომის სივრცე შეხვედრებისათვის, რომლებიც იტევენ 15-დან 49-მდე მონაწილეს → 10 ქულა.

4.1.გ – მომწოდებელი უზრუნველყოფს მხოლოდ ერთ შეხვედრების ოთახს, რომელიც იტევს 15–30 მონაწილეს→ 5 ქულა.

4.2. კვების მომსახურების ხარისხი (15 ქულა)

შეთავაზებული კვების პაკეტები:

4.2.ა – სრული (მრავალკომპონენტიანი: ლანჩი, ვახშამი და ყავის შესვენება) → 15 ქულა

4.2.ბ – ორკომპონენტიანი (1–2 კერძი- ლანჩი ან ვახშამი) → 10 ქულა

4.2.გ – ერთკომპონენტიანი (მხოლოდ ყავის შესვენება) → 5 ქულა

4.3. შეხვედრების სივრცის დაჯავშნისა და გაუქმების წესები (10 ქულა)

4.4.ა – ჯავშნის გაუქმება, ან ჯავშანში ცვლილებების შეტანა დამატებითი ხარჯის გარეშე შესაძლებელია ღონისძიებამდე 3 დღით ადრე → 10 ქულა

4.4.ბ – ჯავშნის გაუქმება ან ჯავშანში ცვლილებების შეტანა დამატებითი ხარჯის გარეშე შესაძლებელია ღონისძიებამდე 5 დღით ადრე → 7 ქულა

4.4.გ – ჯავშნის გაუქმება, ან ჯავშანში ცვლილებების შეტანა 7+ დღით ადრე, ან დამატებითი ხარჯით არის შესაძლებელი → 0 ქულა.

4.4. სასტუმროში განთავსების შესაძლებლობა (დამატებითი ღირებულება – 10 ქულა)

4.4.ა – სასტუმროში განთავსების სერვისი ხელმისაწვდომია თბილისში და დამატებით საქართველოს სხვა ერთ რეგიონში მაინც → 10 ქულა

4.4.ბ – სასტუმროში განთავსების სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ თბილისში → 8 ქულა

4.5. სასტუმროში განთავსების სერვისის გაუქმების პოლიტიკა (მაქსიმუმ 10 ქულა)

4.5.ა – სასტუმროს ჯავშნის გაუქმება შესაძლებელია განთავსებამდე 3 დღით ადრე→ 10 ქულა

4.5.ბ – სასტუმროს ჯავშნის გაუქმება შესაძლებელია განთავსებამდე 5 დღით ადრე → 7 ქულა

4.5.გ – სასტუმროს ჯავშნის გაუქმება არ არის შესაძლებელი 5 დღეზე უფრო ადრე გაფრთხილების გარეშე, ან იწვევს დამატებით ხარჯებს → 0 ქულა

4.6. ფასი (50 ქულა)

„ფასის“ გამოთვლა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგი ფორმულის მიხედვით განხორციელდება:

P= Pmin/Pof x 50 ქულა

სადაც:

Pmin - ყველაზე დაბალი ფასი, რაც შემოთავაზებულია მიმდინარე ტენდერში (მათ შორის, სხვა აპლიკანტების მიერ);

Pof – ფასი, რომელიც შემოთავაზებულია კონკრეტული აპლიკანტის მიერ

P – კონკრეტული აპლიკანტის მიერ ფასის კატეგორიაში დაგროვებული ქულების რაოდენობა (დამრგვალებული).

5. ინფორმაცია ფასის შესახებ:

5.1. ფასი უნდა იყოს მითითებული ლარში და დამრგვალებული ორ ათწილადამდე. ფასი უნდა იყოს მოცემული განაცხადის ფორმაში მოცემული ხარჯების გამოყენების მიზნობრიობის საფუძველზე, რომელიც ამ სატენდერო განაცხადშია აღწერილი.

5.2. ფასის შეთავაზება უნდა მოხდეს ნეტო (ფიზიკური პირების შემთხვევაში) ან ბრუტო ღირებულებით, რაც მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული. ფასის შეთავაზება უნდა მოიცავდეს ყველა შესაძლო ხარჯს, კონტრაქტორის მიერ მოწოდებული მომსახურების ფარგლებში (გადასახადები, სავალდებულო სოციალური დაცვა, ჯანმრთელობისა და საპენსიო შენატანები), აგრეთვე საქართველოში განთავსების, კვების, დაზღვევის, ადგილობრივი მგზავრობის ხარჯები (დამატებითი დაკვეთების გარდა) კომპიუტერულ ტექნიკის, მობილური კომუნიკაციის, პროგრამული უზრუნველყოფის (სიტყვაპროცესორი / ცხრილები/ power point) ხარჯებს.

5.3. ანგარიშსწორება დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის განხორციელდება ლარში (GEL) საგადასახადო მიზნებისთვის კონტრაქტორის რეგისტრაციის ადგილისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ევროს მიმდინარე კურსის მიხედვით.

5.4 კონტრაქტორმა შეიძლება შეარჩიოს ერთი ან რამდენიმე შეთავაზება, მოთხოვნილი სერვისების მიწოდებისთვის.

6. მოთხოვნილი დოკუმენტაცია:

6.1. **ფისკალური განაცხადი** ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმოწერილი და სკანირებული PDF ფორმატში. ჩამოსაატვირთად დააწკაპუნეთ **აქ.**

6.2. **განაცხადის ფორმა** შევსებული ქართულ ან ინგლისურ ენაზე ხელმოწერილი და სკანირებული PDF ფორმატში. ჩამოსატვირთად დააწკაპუნეთ **აქ.**

7. განაცხადის შემოტანა:

განაცხადი გამოგზავნილ უნდა იქნას არაუგვიანეს 2025 წლის 17 ივლისის 23:59 საათამდე, თბილისის დროით შემდეგ ელფოსტის მისამართზე აპლიკაციის წარმოდგენის გზით: redi@solidarityfund.pl

8. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელფოსტაზე და გამოქვეყნდება სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ოფიციალურ საიტზე - https://participatoryhub.ge/.

9. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის წარდგენით თანხმობას აცხადებთ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება), რომელთაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა SFPL -ში.

10. სოლიდარობის ფონდი PL უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და თანასწორუფლებიან მოპყრობას დასაქმების პროცესში რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

11. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათავო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ქუჩა Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება პოლონეთის პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის 1გ პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოსთხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. მონაცემთა მაკონტროლებელი არის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში, ჭავჭავაძის გამზირი 20, ბინა #3, სართული 2, 0179 თბილისი, საქართველო. თქვენი უფლებებით სარგებლობისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ SFPL-ს საქართველოში პირდაპირ მისამართზე georgiarep@solidarityfund.pl – ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თქვენი უფლებები ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.